საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის (ცენტრალური/საოლქო საარჩევნო კომისიები, შემდგომში „საარჩევნო კომისიები“) 2024 წლის ანგარიში

1. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ საარჩევნო კომისიებში სულ შემოსულია 1457 მოთხოვნა.

2. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე საარჩევნო კომისიებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის (საარჩევნო კომისიების რეგლამენტის შესაბამისად - კომისიების მდივნების) მიერ მიღებულია 1317 გადაწყვეტილება.

3. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ იქნა 140 გადაწყვეტილება.

4. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა.

5. საარჩევნო კომისიების მიერ საკუთარი სხდომების დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა.

6. საარჩევნო კომისიების მიერ შეგროვებული, დამუშავებული და შენახული იქნა საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი'' 31-ე მუხლით განსაზღვრული დაწესებულებების მიერ მოწოდებული მონაცემები. შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ 44 საჯარო მონაცემთა ბაზა იქნა სხვისთვის გაცემული, ხოლო, საანგარიშო პერიოდში, პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდებოდა მხოლოდ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

7. საარჩევნო ადმინისტრაციაში საჯარო მოხელეთა მიერ ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს სარჩევნო კოდექსი“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევა არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, არც ერთ პასუხისმგებელ პირს არ დაკისრებია დისციპლინური პასუხისმგებლობა.

8. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული 140 გადაწყვეტილებიდან არც ერთი მათგანი არ იქნა გასაჩივრებული.

9. საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხა, საარჩევნო კომისიებს არ გაუწევიათ.